

Minutes of the Coordination Council Meeting
Working Meeting
Meeting Minutes No. 1

Tbilisi

06 February 2026

On February 6, 2026, a meeting of the Coordination Council of the Legal Entity of Public Law (LEPL) - the National Center for Educational Quality Enhancement (hereinafter - NCEQE) was held via the Zoom platform. The meeting was attended by members of the Coordination Council and representatives of the NCEQE.

The Coordination Council meeting was opened by the Acting Director of the NCEQE, Lasha Margishvili. He introduced the new members of the Coordination Council—Salome Voronovi, Nino Chalaganidze, and Moris Shalikashvili—to the council. Lasha Margishvili congratulated them on their selection as members of the NCEQE's Coordinating Council and wished them success. In accordance with the agenda, he invited Deputy Director of the NCEQE, Ketevan Kobakhidze, to address the Council, after which he proposed to the Coordination Council to select a Chairperson.

The Secretary of the Coordination Council, Tatia Uberi, nominated Salome Voronovi for the position of Chairperson. After approving the nominated candidacy, the Coordination Council unanimously voted to select the candidate for the position of Chairperson of the Council.

Proponent: 11

Opponent: 0

In accordance with the agenda, the Head of the Planning, Research, and International Relations Department, Lasha Zivzivadze, presented to the members of the Coordination Council the planned amendments to the Rule on the Development, Monitoring, and Evaluation of the Strategy and Action Plan for the Implementation of the Strategy of the NCEQE and in the rule for administering the work of the Coordination Council. The amendments were carried out in accordance with the changes reflected in the NCEQE's statute.

After the presentation, Natia Gabitashvili asked whether the progress report on the implementation of the NCEQE's Action Plan is submitted to the Coordination Council. Lasha Zivzivadze noted that the department submits the progress report directly to the Director of the NCEQE.

In addition, the department took into account the initiative of the Coordination Council regarding the discussion of the NCEQE's Action Plan implementation analysis. Consequently, by the end of March, the department will submit the analysis of the implementation of the NCEQE's 2025 Action Plan to the Coordination Council, along with the annual report.

The Chairperson of the Coordination Council, Salome Voronovi, put the presented projects to a vote, and the Council supported the amendments.

Proponent: 11

Opponent: 0

Lasha Zivzivadze introduced the updated list of the NCEQE's business processes to the members of the Coordination Council. According to the the list of business processes approved by the Director of the NCEQE for 2024, 18 business processes were planned to be described in 2025; however, 17 business processes were described because, according to the explanation of the General Education Quality Assurance Department, process C7 "Verification of fulfillment of authorization conditions by a general educational institution at the initiative of the educational institution" does not represent an active form of monitoring, due to which its removal from the list of business processes was considered expedient. In total, 59 business processes are described.

The Chairperson of the Coordination Council put the mentioned issue to a vote, and the members of the Council supported it unanimously.

Proponent: 11

Opponent: 0

In accordance with the agenda, the Deputy Head of the Higher Education Quality Assurance Department, Ketevan Inanashvili, presented a thematic analysis on the cluster of the Business and Administration narrow field. The main goal of the thematic analysis is to evaluate the effectiveness of cluster accreditation results in the fields of business administration learning, identify systemic challenges revealed in the process, and determine relevant development directions for the further improvement of quality assurance mechanisms.

Regarding the challenge identified through thematic analysis concerning the workload of quality experts, Coordination Council member Diana Freiberger asked how many experts are involved in the procedures.

Ketevan Inanashvili noted that the number of experts depends on the number of programs within a cluster; with a maximum of 8 programs, there are 8 experts involved. Davit Kukhalashvili, Head of the Higher Education Quality Assurance Department, noted that instead of increasing the number of experts, it would be preferable to reduce the number of programs per cluster.

Coordination Council member Nino Chalaganidze mentioned that while the thematic analysis focuses on the Business Administration cluster, the findings can be generalized to other clusters since the challenges are similar. She also expressed interest in the respondent selection methodology. Regarding the recommendation to increase affiliated staff in institutions, she pointed out that no such formal requirement currently exists and questioned whether it would be advisable to introduce one.

Ketevan Inanashvili explained that a specific methodology was used for selecting institutions, and experts were selected accordingly. Regarding the second question, she noted that while the standards do not explicitly mandate the presence of affiliated staff, the requirements related to program sustainability effectively ensure their involvement. NCEQE will take this initiative into account, and the issue will certainly be discussed with stakeholders during the revision of cluster accreditation standards.

The next issue concerned changes in Order No. 99/n of the Minister of Education and Science of Georgia dated October 1, 2010, "On the Approval of the Statute of Authorization of Educational Institutions and Fees," and Order No. 65/n of the Minister of Education and Science of Georgia dated May 4, 2011, "On the Approval of the Statute of Accreditation of Educational Programs of Higher Educational Institutions and Fees." Lasha Margishvili spoke regarding this and introduced the draft amendments to the Council members in detail .

The Chairperson of the Coordination Council put the mentioned draft to a vote, and the members of the Council supported it unanimously.

Proponent: 11

Opponent: 0

After discussing the issues on the agenda, the Coordination Council focused on the visit of ENQA experts. The Chairperson proposed to the Coordination Council to conduct a study on the qualification requirements of the Director of the NCEQE, based on the example of ENQA quality assurance agencies, and received confirmation from them. At the meeting, it was decided that the Planning, Research and International Relations Department will study international practice in this area and present it to the Coordination Council.

Lasha Margishvili declared the meeting closed and thanked the members of the Council for their cooperation and support.

N	Name, Surname	Position	Coordination Council
1	Salome Voronovi	Deputy Head of the Department of Faculty Development and Strategic Planning at (LEPL) Tbilisi State Medical University; Chairperson of the council;	Council Chairperson
2	Tatia Uberi	Representative of the Association of Georgian Student Organizations, PhD student of the Law School of the Caucasus University LLC	Council Secretary
3	David Gordon	Emeritus Professor, Faculty of Medicine, University of Manchester	Council Member
4	Giorgi Chumashvili	Representative of the Georgian Employers' Association, General Director of "Tineti" LLC	Council Member
5	Diana Freiberger	Executive Director of the Foundation for International Business Administration Accreditation (FIBAA)	Council Member
6	Maia Akhvlediani	Associate Professor at the Faculty of Education at (LEPL) Akaki Tsereteli State University	Council Member
7	Sophio Londaridze	Administrative Team Leader at N(N)LE Skills Agency Georgia	Council Member
8	Liana Kolkhitashvili	Director of "Training Lab" LLC	Council Member
9	Natia Gabitashvili	Deputy Head of the Department of International Relations and Strategic Development at the Ministry of Education, Science and Youth of Georgia;	Council Member
10.	Nino Chalaganidze	Advisor to the Chancellor for the Academic Process at LLC Caucasus International University.	Council Member
11	Moris Shalikashvili	Dean of the Faculty of Law at (LEPL) Ivane Javakhishvili Tbilisi State University	Council Member

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრის ოქმი
სამუშაო შეხვედრა
შეხვედრის ოქმი №1

ქ. თბილისი

06.02.2026

2026 წლის 06 თებერვალის, Zoom პლატფორმის გამოყენებით, გაიმართა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) საკოორდინაციო საბჭოს სხდომა, რომელსაც საკოორდინაციო საბჭოს წევრები და ცენტრის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

საკოორდინაციო საბჭოს სხდომა ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა - ლაშა მარგიშვილმა გახსნა. მან საკოორდინაციო საბჭოს წარუდგინა საბჭოს ახლადშერჩეული 3 წევრი - სალომე ვორონოვი, ნინო ჭალაგანიძე და მორის შალიკაშვილი. ლაშა მარგიშვილმა მიულოცა მათ ცენტრის საკოორდინაციო საბჭოს წევრებად შერჩევა და წარმატებები უსურვა.

დღის წესრიგის შესაბამისად, მან სიტყვა გადასცა ცენტრის დირექტორის მოადგილეს, რის შემდეგაც საკოორდინაციო საბჭოს შესთავაზა თავმჯდომარის არჩევა.

საკოორდინაციო საბჭოს მდივანმა, თათია უბერმა, თავმჯდომარის პოზიციაზე წარადგინა სალომე ვორონოვის კანდიდატურა. წარდგენილი კანდიდატურის თანხმობის შემდგომ საკოორდინაციო საბჭომ ერთხმად დაუჭირა მხარი საბჭოს თავმჯდომარის კანდიდატურის არჩევას.

მომხრე: 11

მოწინააღმდეგე: 0

დღის წესრიგის შესაბამისად, ცენტრის დაგეგმვის, კვლევისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსმა, ლაშა ზივზივამემ საკოორდინაციო საბჭოს წევრებს წარუდგინა ცენტრის სტრატეგიის და სტრატეგიის დანერგვის სამოქმედო გეგმის შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესში და საკოორდინაციო საბჭოს მუშაობის ადმინისტრირების წესში დაგეგმილი ცვლილებები. მოცემული ცვლილებები განხორციელდა ცენტრის დებულებაში ასახული ცვლილებების შესაბამისად.

პრეზენტაციის შემდეგ, ნათია გაბიტაშვილმა იკითხა, ცენტრის სამოქმედო გეგმის შესრულების პროგრესს ანგარიშის წარდგენა თუ ხდება საკოორდინაციო საბჭოზე. ლაშა ზივზივამემ აღნიშნა, რომ სამსახური პროგრესს ანგარიშს წარუდგენს ცენტრის დირექტორს. ამასთან, საკოორდინაციო საბჭოს ინიციატივა, რომელიც ეხებოდა ცენტრის სამოქმედო გეგმის შესრულების ანალიზის განხილვას, სამსახურმა გაითვალისწინა და მიმდინარე წლის მარტის ბოლომდე, წლიურ ანგარიშთან ერთად ცენტრის 2025 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანალიზი იქნება წარდგენილი საკოორდინაციო საბჭოზე.

საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარემ, სალომე ვორონოვმა, კენჭისყრაზე დააყენა წარდგენილი პროექტები და საბჭომ მხარი დაუჭირა ცვლილებებს.

მომხრე: 11

მოწინააღმდეგე: 0

ლაშა ზივზივაძემ საკოორდინაციო საბჭოს წევრებს გააცნო ცენტრის განახლებული ბიზნეს-პროცესების ნუსხა. 2024 წლის ცენტრის დირექტორის მიერ დამტკიცებული ბიზნეს პროცესების ნუსხის შესაბამისად, 2025 წელს დაგეგმილი იყო 18 ბიზნესპროცესის აღწერა, თუმცა, აღიწერა 17 ბიზნეს პროცესი, რადგან ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის განმარტებით, პროცესი C7 "საგანმანათლებლო დაწესებულების ინიციატივით ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება" არ წარმოადგენს მოქმედ მონიტორინგის ფორმას, რის გამოც ბიზნესპროცესების ნუსხიდან მისი ამოღება მიზანშეწონილად მიიჩნეეს. ამჟამად, სულ აღწერილია 59 ბიზნეს პროცესი.

საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი და საბჭოს წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი.

მომხრე: 11

მოწინააღმდეგე: 0

დღის წესრიგის შესაბამისად, ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილემ, ქეთევან ინანაშვილმა, წარადგინა ბიზნესის და ადმინისტრირების ვიწრო სფეროს კლასტერის თემატური ანალიზი. თემატური ანალიზის მთავარი მიზანია ბიზნესის ადმინისტრირების სწავლის სფეროებში კლასტერული აკრედიტაციის შედეგების ეფექტურობის შეფასება, პროცესში გამოვლენილი სისტემური გამოწვევების იდენტიფიცირება და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შემდგომი გაუმჯობესებისთვის შესაბამისი განვითარების მიმართულებების განსაზღვრა.

თემატური ანალიზის შედეგად გამოვლენილ გამოწვევასთან დაკავშირებით, რაც გულისხმობდა ხარისხის ექსპერტების სამუშაო დატვირთულობას, საკოორდინაციო საბჭოს წევრმა, დიანა ფრეიბერგერმა იკითხა, თუ რამდენი ექსპერტია ჩართული პროცედურებში. ქეთევან ინანაშვილმა აღნიშნა, რომ ექსპერტების რაოდენობა დამოკიდებულია კლასტერის პროგრამების რაოდენობაზე, მაქსიმუმ არის 8 პროგრამა, შესაბამისად 8 ექსპერტია. უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, დავით კუხალაშვილმა აღნიშნა, ექსპერტთა რაოდენობის ზრდას სჯობს კლასტერის პროგრამების რაოდენობის შემცირება.

საკოორდინაციო საბჭოს წევრმა, ნინო ჭალაგანიძემ აღნიშნა, რომ მართალია თემატური ანალიზი ეხება ბიზნეს-ადმინისტრირების კლასტერს, თუმცა მისი განზოგადება შესაძლებელია სხვა კლასტერებზე, რადგან გამოწვევები მსგავსია. ასევე მან აღნიშნა, რომ საინტერესოა რესპოდენტთა შერჩევის მეთოდოლოგია. რაც შეეხება რეკომენდაციას, დაწესებულებებში აფილირებული პერსონალის გაზრდასთან დაკავშირებით, მსგავსი მოთხოვნის ჩანაწერი არ არსებობს და ხომ არ არის მიზანშეწონილი მსგავსი ჩანაწერის გაკეთება.

ქეთევან ინანაშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულებების შერჩევის დროს არსებობდა შესაბამისი მეთოდოლოგია და შესაბამისად, შეირჩნენ ექსპერტებიც. რაც შეეხება მეორე კითხვას, მართალია სტანდარტებში არ არის აფილირებული პერსონალის არსებობის მოთხოვნა, თუმცა მოთხოვნები, რომელიც უკავშირდება პროგრამის მდგრადობას უზრუნველყოფს აფილირებული პერსონალის არსებობას. ცენტრი გაითვალისწინებს აღნიშნულ ინიციატივას და კლასტერული აკრედიტაციის სტანდარტების გადახედვის დროს, საკითხი აუცილებლად იქნება დაინტერესებულ მხარეებთან განხილული.

მომდევნო საკითხი ეხებოდა ცვლილებებს „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებაში და „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებაში, რომელიც გამოიწვია ბოლო პერიოდში განხორციელებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა. აღნიშნულის თაობაზე ისაუბრა ლაშა მარგიშვილმა და საბჭოს წევრებს დეტალურად გააცნო ცვლილებების პროექტი.

საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარემ კეწისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი და საბჭოს წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი.

მომხრე: 11

მოწინააღმდეგე: 0

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ, საკოორდინაციო საბჭომ ყურადღება გაამახვილა ENQA-ს ექსპერტთა ვიზიტზე. თავმჯდომარემ საკოორდინაციო საბჭოს შესთავაზა ცენტრის დირექტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან დაკავშირებით, ENQA-ს ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების მაგალითზე მოკვლევის ჩატარება და მათგან მიიღო დასტური. შეხვედრაზე გადაწყდა, რომ ცენტრის დაგეგმვის, კვლევისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური ზოიკვლებს საერთაშორისო პრაქტიკას აღნიშნული მიმართულებით და წარუდგენს საკოორდინაციო საბჭოს.

ლაშა მარგიშვილმა მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებს თანამშრომლობისთვის და მხარდაჭერისთვის და სხდომა დასრულებულად გამოაცხადა.

დანართი 1:


სახელი, გვარი	პოზიცია	საკოორდინაციო საბჭო
სალომე ვორონოვი	სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური განვითარებისა და სტრატეგიული დაგეგმვის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე	საბჭოს თავმჯდომარე
თათია უბერი	ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის წარმომადგენელი, შპს კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დოქტორანტი	საბჭოს მდივანი
ნინო ჭალაგანიძე	შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის კანცლერის მრჩეველი აკადემიური პროცესის მიმართულებით	საბჭოს წევრი
მორის შალიკაშვილი	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი	საბჭოს წევრი
ლიანა კოლხიტაშვილი	შპს „ტრენინგ ლაბის“ დირექტორი	საბჭოს წევრი
დევიდ გორდონი	მანჩესტერის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის ემერიტუსი პროფესორი	საბჭოს წევრი
ლიანა ფრეიბურგერი	ბიზნესის ადმინისტრირების აკრედიტაციის საერთაშორისო ფონდის (FIBAA) აღმასრულებელი დირექტორი;	საბჭოს წევრი
გიორგი ჩუმაშვილი	ა(ა)იპ - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის წარმომადგენელი, შპს „თინეთის“ გენერალური დირექტორი	საბჭოს წევრი

მაია ახვლედიანი	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი	საბჭოს წევრი
სოფიო ლონდარიძე	ადმინისტრაციული ჯგუფის ხელმძღვანელი „ა(ა)იპ უნარების სააგენტო“	საბჭოს წევრი
ნათია გაბიტაშვილი	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობებისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე	საბჭოს წევრი

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის

საკოორდინაციო საბჭოს მდივანი

ნათია უბერი



სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის

საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე

სალომე ვორონოვი

